

ნახ. ჯონისა

## მათი გულახდილობა

დემოკრატიული ქვეყნები გადაჭრით მოითხოვენ გომინდანის წარმომადგენლების გაძევებას გაერთიანებული ერების საბჭოდან.

— ახლა აქედანაც გვერეკებიან, აქაო და ჩინელი ხალხი მთავრობად აღარ გცნობთო.

— ეგეც კომუნისტების წამოწყებაა, თორემ ჩვენმა მფარველებმა იმთავითვე იცოდნენ, რომ ჩინელი ხალხი თავის მთავრობად ჩვენ არასდროს არ გვცნობდა.

# ნიანგი

№ 3. 1950 წ. თბილისი. გამომცემლობა „კომუნისტი". გამოცემის წელი XXVII ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღევანდელი დღე

თქვენ მოწინავე მუშა გნებავთ? — უხერხულად გაიღიმა საამქროს უფროსმა,—კარგი მაგრამ არ ვიცი რომელი მათგანი დაგისახელოთ, აქ ყველა მოწინავეა. — კორესპონდენტს გაეღიმა, მას ყველა საამქროში ასე პასუხობდნენ. დღეს ეს ვეებერთელა ქარხანა შემოიარა და სხვა რომ არაფერი, სიარულით დაიღალა, მაგრამ ჯერჯერობით კიდევ არჩევანში იყო, რომელ საამქროზე, რომელ მუშაზე დაეწერა...

...აი ამ ჭაბუკს, გამოარკვია ის მოსაუბრის სიტყვებმა, ხუთი წლის გეგმა აქვს შესრულებული, იმას კი—შვიდი წლის, თუმცა მივიდეთ...

ისინი მიუახლოვდნენ ცისფერთვალებიან ქერა ქალიშვილს; რომელიც ელვის სისწრაფით მოტრიალე ჩარხზე მანქანის რომელიღაც დეტალს რანდავდა. ქალიშვილს არ შეუმჩნევია მათი მიახლოვება, დაზგის გვერდით დამზადებული ფოლადის ნაწილების გროვა ელაგა, რომელიც სიმაღლით ქალიშვილს გატოლებოდა.

კორესპონდენტი და საამქროს უფროსი თვალს არ აშორებდნენ მის სწრაფ მოძრაობას.

საამქროს უფროსის ყურადღება მეზობელ დაზგაზე მომუშავე სათვალეებიანმა კაცმა მიიპყრო.— ა, პეტრე!—გასძახა მას.—არ რჩები უკან ახალგაზრდებს, არა?..

— ჩვენი საამქროს ერთ-ერთი საამაყო მუშაა, მისი რაციონალური წინადადებით, რომელმაც დაზგის მუშაობის სიჩქარე ორნახევარჯერ გაადიდა, სახელმწიფომ რამდენიმე ათასი მანეთის ეკონომია მიიღო. 6 წლის გეგმა აქვსო შესრულებული.—გააცნო კორესპონდენტს.

ეს ექვსი წლის... იმის რაციონალური წინადადებით... ამისი მეთოდით... ისმოდა საამქროს უფროსის სიამაყით აღსავსე ხმა და კორესპონდენტს თვალწინ ედგა სხვა საამქროთა უფროსების ასევე გაბრწყინვებული სახეები.

იგი უხერხულ მდგომარეობაში იყო. რომელი ერთი, ფიქრობდა ის, ყველგან ასეა, მჯობნის მჯობნი არ დაილია. არა და მას ეჩქარებოდა. გაზეთი მასალას მოითხოვდა, მას კი აქ ბარე სამი საათი შეაგვიანდა.

— იცით რა, — მოუთმენლად მიმართა მან საამქროს უფროსს, —მაჩვენეთ მაინც, ვისა აქვს ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები.

— როგორ გითხრათ! — ისევ ეღიმებოდა საამქროს უფროსს, —საღამომდე რომ მოგეცადათ...

კორესპონდენტი იწერდა გვარებს, მერე ისევ სხვა გვარებს, მერე კიდევ სხვას. ესენი იმდენი არიან, რომ მარტო გვარების ჩამოთვლაც კი გაზეთში არ დაეტევაო, ფიქრობდა ის.

დაზგები და მანქანები კი კვლავ თავბრუდამხვევი სიჩქარით მოძრაობდნენ. მზადდებოდა ათასგვარი ნაწილაკი, დეტალი...

საათის ისარი ოთხს უახლოვდებოდა.

ამათგან შვიდი-რვა წლის გეგმებს ასრულებს თითოეული და მე კი დღევანდელი დავალებაც არ შემისრულებიაო.—სწუხდა თავისთვის იგი.

კორესპონდენტი საღამო ხანს მივიდა რედაქციაში. უბის წიგნაკის რამდენიმე გვერდი მარტო გვარებით იყო აჭრელებული.

მერე რამდენი გვარი იყო, რომელთაც უდიდესი გადაჭარბებით შეესრულებინათ გეგმა! ხვალ გაზეთი ქვეყანას მოჰფენდა მათ სასიქადულო ამბებს. მაგრამ ხვალ საღამოს უკვე ნამდვილი არ იქნება მათი წარმატებების მაჩვენებლები, ფიქრობდა კორესპონდენტი.

ხვალ კიდევ რამდენი დაემატებაო მათ ნაშრომს და კიდევ რამდენი ახალი გვარები...

იგი ყოყმანობდა, რა და როგორ დაეწერა ვერ გადაეწყვიტა. ბოლოს გაეღიმა, თვალწინ დაუდგა ყველას სახეები, მთელი დღევანდელი თავგადასავალი. კალამი აიღო და იმ დღის თავგადასავალი დაწვრილებით დასწერა. მეორე დღეს ქარხნის მუშები კმაყოფილებით კითხულობდნენ გაზეთში დაბეჭდილ ფელეტონში საკუთარ გვარებს. ფელეტონს სათაურად „კორესპონდენტის გასაჭირი“ ჰქონდა.

ნოდარ გურეშიძე

---

## ალახის ფრთებქვეშ

სტამბოლში განაგრძობს გამოსვლას ჰიტლერის მთავრობის მიერ დაარსებული გაზეთი „ტურკიშე პოსტი“, რომელიც ამჟამად „ენი ისტამბულის“ სახელს ატარებს. ამ გაზეთში, თურქეთის მთავრობის მფარველობით, დღესაც შეუცვლელად მუშაობენ გერმანელი ფაშისტები.

ნახ. მ. ვადბოლსკისა




„პოსტი“—სტამბულად მონათლეს,
ჩახხდნენ ბოსფორის ყურესა
და ძველებურად ართხევენ
ფაშისტურ სიბინძურესა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბილიარდის ასოციაციით

ნახ. გ. ფირცხალავასი

— გუშინ რამდენი პარტია წააგე?
— ორი: ლიბერალური და ლეიბორისტული, სამაგიეროდ კონსერვატიული მოვიგე, ისინი ორჯერ მეტს დამპირდნენ ხმის მიცემაში!



## დაფანტული სტერლინგები

კასრის ფორმის კაცი, რომლის თავსაც მხოლოდ იმით შეამჩნევდით, რომ უფერულ წარბების დასწვრივ ორი შუშა უბრწყინავდა, დაჯერებულად ასავსავებდა ხელებს და როხროხებდა:

— არა, ელიზაბეტ, სტარფორდი ჭკუის სასყიდლად არსად წავა. შენი სტარფორდი საკმაოდ გამოცდილი საქმის კაცია და მთავრობაში კი არა, თუ გნებავს, ნემსის ყუნწშიც გაძვრება!

— ცხოვრება კომერციაა, სტარფორდ, ნალები გემრიელი მაშინ არის, როცა რძის ფასად გიჯდება.

— ჭკვიანი კაცი, ელიზაბეტ, წყალში ღვინის ფასს მისცემს, თუ არყის ფასად გაყიდვის იმედი აქვს. ქალის ჭკუა და კომერცია ორი უკიდურესი მწვერვალია, ელიზაბეტ, ეს მწვერვალები ერთმანეთს ვერასოდეს ვერ შეხვდებიან...

და ცოლ-ქმარს შორის დიდი კომერციული სკანდალი ატყდებოდა, რომ მათი ქაქანი სტუმრის მიერ აჰრიალებულ კარს არ დაერღვია.

— რა მოხარული ვარ, სერ სტარფორდ, რომ სახლში გნახეთ!—რიტმიულად შემოაბიჯა სტუმარმა.

— მობრძანდით, სერ, დღეს ყველა ჩემს ნაცნობს შეუძლიან ბედნიერი მასპინძელი მიწოდოს!—მლიქვნელურადვე შეეგება მასპინძელი.

—მე მაინტერესებდა, სერ,—განაგრძო სტუმარმა,—თქვენი წინასაარჩევნო მდგომარეობა.

ხმათა საკმაო რაოდენობა შევაგროვე და განვაგრძობ შეგროვებას. თუ მთავრობაში პატიოსან ადამიანთა გასვლა აუცილებლად საჭიროა, თქვენი მონა-მორჩილი მთავრობის წევრი უსათუოდ უნდა გახდეს.

— მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, სერ, ყველაზე მეტად პატიოსანი ვინ, ან რა არის!— ღიმილით თქვა სტუმარმა და მარჯვენა ხელის ცერი და სალოკი რამდენჯერმე გაუსვა ერთმანეთს.

— თქვენს მონა-მორჩილს რომ ეგ არ აკლია, ალბათ დარწმუნებული ბრძანდებით, სერ! უკვე ორი ათას გირვანქამდე დავაბანდე მაგ საქმისათვის.

—ჭკუაში თუ დაგიჯდებოდათ, საქმიანი წინადადება მქონდა, სერ!

— საქმე ჩემი საყვარელი სტიქიაა!

— მოგეხსენებათ, ალბათ, ჩემს ქარხანაში ხუთი ათას ექვსასი კაცი მუშაობს. აქედან ათას ექვსასი ჩემი კაცია. ათას ექვსასი ხმა, არც ისე ცოტაა, სერ დეპუტატ!

— ათას ექვსას კაცს ათას ექვსასი ჭკუა აქვს, სერ, ასე რომ არ იყოს, გასამრჯელოს არ დავიშურებდი, ზოგი პროფკავშირელია, ზოგი კომუნისტი. მოგეხსენებათ, ახლა მეოცე საუკუნეა.

— არსად იმდენ ხელფასს არ ღებულობს მუშა, რამდენსაც ჩემს ქარხანაში, სერ, მე მათ, იმ ათას ექვსას კაცს, ორმაგი გასამრჯელო იმიტომ დავუნიშნე, რომ ყველაფრით მე მეკუთვნოდნენ. დიახ, სერ, მათი ფიზიკური ძალა, ჭკუა, აზრი და გემოვნება თქვენს მონა-მორჩილს მაქს ჰეტჩისონს ეკუთვნის.

— ათას ექვსასი ხმა!—კმაყოფილად წარმოსთქვა მასპინძელმა, — ძვირფასო მაქს, ძვირი ხომ არ დამიჯდება თქვენი სამსახური?

— როგორ გითხრათ, თქვენმა მოქიშპე ანუარენმა სამი ათას ორასი გირვანქა მაძლია.

— ხელგაშლილია, პირუტყვი, მაგრამ არც თქვენი მასპინძელი გახლავთ ძუნწი, ვუმატებ სამას გირვანქას.

— თქვენს წყენას იმის წყენა მირჩევნია, სერ. თქვენ მგონი სამეფო ბანკში უნდა გქონდეთ ანგარიში.—დათანხმდა სტუმარი და სიტყვა ბანკზე ჩამოუგდო, რაც საბანკო ჩეკის მოთხოვნას ნიშნავდა.

მასპინძელმა საბანკო ჩეკი გადასცა სტუმარს და სტუმარმა წასვლის წინ კიდევ ერთხელ მოიგო მასპინძლის გული:

— მოგეხსენებათ, სერ სტარფორდ, მე ფულის მოყვარული კაცი არ გახლავართ, მაგრამ იმის სურვილი კი მაქვს, რომ მთავრობაში პატიოსანი უმწიკვლო ადამიანები გავიდნენ...

...საღამოს გაზეთში დეპუტატმა სტარფორდ ჰეკსლიმ თვალების ცეცებით წაიკითხა ახალი ცნობა, რომელიც იტყობინებოდა, რომ გუშინ მექარხნე მაქს ჰეტჩისონმა მოულოდნელად გაყიდა ქარხანა... კარგა ხანია, რაც სტარფორდ ჰეკსლის გაზეთში ასეთი არასასიამოვნო ცნობა არ წაუკითხავს.

ყველაზე მეტად კი ის აწუხებდა, რომ სანამ თვითონ გაძვრებოდა, ჰეტჩისონმა მოულოდნელად გააძვრინა იგი ნემსის ყუნწში და ახლა „უკანვე გამოძვრომას“ რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგი კიდევ სჭირდებოდა.

გ. ივანიშვილი

ალ. ტვარდოვსკი

# ვასილი ტიორკინი

(ნაწყვეტები პოემიდან)

საქმის კაცი იყო მართლაც,
ცეცხლი იყო ნამდვილი,
სულ გზადაგზა გაამზადა
ბერიკაცმა სადილი.
დაარიგა: სუფი, ფაფა,
იყო გულისხმიერი,
ტრიალებდა მარჯვედ, სწრაფად
ბერიკაცი ხნიერი.

— გესმის? კიდევ ერთი კოვზი
დამიმატე, ნუ სცადავ,
ორი წელი დავყავ ომში,
აჰა, კოვზი,
დამიმატე სულ ცოტა.
მზარეულმა შეუბღვირა,
ფაფაც დაუმატა,
— ბევრს მიირთმევს ახალგაზრდა
აი, მესმის მადა...
თან ხმადაბლა შეუტია:
— ამნაირი მადით,
შვილო, ფლოტში წადით.

— არ ვყოფილვარ სწორედ
ფლოტში,—
უჭრის გაბედულად,—
მინდა დავრჩე ფეხოსანში
თქვენებრ, მზარეულად.
ჯარისკაცმა თქვა და ფაფას
ხარბად დაეწაფა.

. . . . . . . . . .

ყრუ მხარეში, ტყის მახლობლად
და უემურ ამინდისას,
კარგი არის ლაშქრად ყოლა
ამისთანა ბიჭისა.

ღამით სთხოვენ, მორიდებით,
თქვით ამბავი რამეზე,
კიდევ რამე მოგვიყევით,
ვასილი ივანეს-ძევ.

ბნელი ღამე, სველი მიწა,
კვამლი ხრჩოლავს კოცონის.
— არა, ძილი დაგვავიწყდა,
ძმებო, დროა დაწოლის.

სახე შემთბარ სახელოზე
თითქოს მუთაქაზეა,
მებრძოლთ შუა ჩაწვა ასე
ტიორკინი ვასია.

ზედ კეთილი წვიმა აწვიმთ,
წვანან ცისქვეშ სველები,
ცა—ჭერია, ქოხი—ნაძვი,
ნეკნებს სტკენენ ფესვები.

არც სიდედრი დაფუსფუსებს,
არც ღუმელი გუზგუზებს,
სოველ მიწას არ იწუნებს,
ვინლა ფიქრობს ბუმბულზე.
ჩაჰხვევია მშობელ მიწას
ტიორკინი მძინარი,
ჩემს გმირს ისე მაგრად სძინავს.
თითქოს მართლა შინ არი.

დანაყრდა თუ მშიერია,
სულ ერთია, სად არის..
სძინავს რაც არ სძინებია,
იჭერს დიდხნის თადარიგს.

და, ალბათ, არ ესიზმრება
ის წუთები საზარი,
როს დასტოვეს მებრძოლებმა
დასავლეთის საზღვარი.
როცა განვლო ტიორკინმა
გაოფლილი ხალათით
მრავალასი კილომეტრი
უკან, აღმოსავლეთით.

რა ვრცელია დედამიწა,
დედამიწა დიადი,
ჩემი არის განა სხვისა,
ჩემი—ძირით-ძირამდის.

სძინავს გმირს და ტკბილად
ხვრინავს,
მკაცრ ყოფას შესჩვევია.
მიწას ჩემი მიწა ჰქვიან,
მისი კვნესა ჩემია.

მიწა არის ქვეშაგები
და დარაჯად დამდგარნი
ძილფხიზლობენ გუშაგები.
თავზე აწვიმთ ავდარი.

ბნელა. მთვარე არ ჩანს ცაზე,
ზეცა მოღრუბლულია,
უცებ მებრძოლს რაღაცაზე
გაეცინა გულიან.

იცინოდა. თან ამბობდა
სიხარულით ავსილი,
კარგია, რომ ჩვენთან მოხვდა
ტიორკინი ვასილი.

მისი მსგავსი, გეტყვით მართალს,
ხშირად გვხვდება ტოლებში,
ყოველ ასეულშია და
ოცეულში ყოველში.

გეტყვით ახლა გულახდილად,
რითაც არის ძლიერი.
სხვებზე მეტად არა ბრწყინავს
იგი სიმშვენიერით.

არ გეგონოთ ტანმაღალი,
არც ღონე აქვს გმირისა,
ბრძოლით განვლო სესტრის
წყალი,
მხარე კარელიისა.

— ალყა სამჯერ შემომარტყეს,
სამჯერ ვიყავ ღადარში,
ვერ გავექეც ნაღმის ნატეხს...
გეტყვით ახლა გადაჭრით:
ჭურვი, ტყვია ვერ წამაქცევს,
რაკი ერთხელ გადავრჩი.

ლაშქრობისას. ბევრჯერ მტვერში
დღე მადგა საოცარი.
რეტდასხმული ვიყავ ბევრჯერ.
ნაწილობრივ მობსპარი.
მაგრამ ისევ ცოცხალი ვარ,
ჩემი ისევ ბრწყინავს მზე.
ჭამა-სმა და პაპიროსი
მიყვარს პოზიციაზე.

ჭირში. ცეცხლში მხნედ იყავი,
გქონდეს გული მაგარი.
ჯერჯერობით ეს იგავი,
წინ. იქნება ზღაპარი.

თარგმანი: ოთარ ჭელიძისა

ნახ. დონისა

## თბილისის ქუჩებში



შეეშალა!

50-49

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკოლმეურნეო სოფლის პეიზაჟი

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



— სიკამ ამ ჯაგიანიდან ფარა უკან რატომ დააბრუნა?
— იმიტომ რომ ნიკამ ეს ჯაგიანიც სავენახედ დააბრუნა.